

ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა 5 რამ, რაც უნდა იცოდეთ

ანტიმიკრობული რეზისტენტობა (ამრ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საფრთხეა. ამრ არის „ერთიანი ჯანმრთელობის“ პრობლემა და დაკავშირებულია ადამიანების, ცხოველების და გარემოს ჯანმრთელობასთან.

ყოველწლიურად აშშ-ში სულ მცირე 2.8 მილიონი ადამიანი ინფიცირდება ამრ მიკრობებით და სულ მცირე 35 000 კვდება.

1

ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა მაშინ ვითარდება, როდესაც მიკრობები ამარცხებენ მათ გასანადგურებლად შექმნილ მედიკამენტებს.

ეს არ ნიშნავს, რომ ორგანიზმი რეზისტენტულია ანტიბიოტიკების მიმართ.

2

ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანებზე მათი ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე.

რეზისტენტული მიკრობებით გამოწვეული ინფექციების მკურნალობა რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც. ბევრ შემთხვევაში, ეს ინფექციები მოითხოვს სანგრძლივ ჰოსპიტალიზაციას, უქიმთან დამატებით ვიზიტებს და მკურნალობას, რომელიც შეიძლება იყოს ძვირადღირებული და პაციენტისთვის პოტენციურად ტოქსიკური.

3

ჯანსაღი ჩვევები დაიცავთ ინფექციებისგან და ხელს შეუშლის მიკრობების გავრცელების თავიდან აცილებას.

ჩაიტარეთ რეკომენდებული ვაქცინაცია, დაიცავთ ხელების და ჭრილობების სისუფთავე, ასევე აკონტროლეთ ქრონიკული დაავადებები, ისეთი როგორიცაა დიაბეტი.

4

ანტიბიოტიკები იცავს ადამიანებისა და ცხოველების სიცოცხლეს. ანტიბიოტიკების ნებისმიერმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები და რეზისტენტობის განვითარება.

ანტიბიოტიკები არ მოქმედებს ვირუსებზე, როგორცაა გაციება და გრიპი. ანტიბიოტიკების საჭიროების შესახებ ესაუბრეთ თქვენს ექიმს ან ვეტერინარს.

5

ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა აღმოჩენილია მსოფლიოს ყველა რეგიონში.

თანამედროვე ვაჭრობა და მოგზაურობა ნიშნავს იმას, რომ ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობა ადვილად შეიძლება გავრცელდეს საზღვრებს გარეთ. იგი შეიძლება გავრცელდეს ისეთ ადგილებში, როგორცაა საავადმყოფოები, ფერმები, საზოგადოება და გარემო. აცნობეთ თქვენს ექიმს, თუ ცოტა ხნის წინ იმოგზაურეთ

თქვენი ქმედებები დაგეხმარებათ ანტიბიოტიკების მიმართ რეზისტენტობასთან ბრძოლაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ www.cdc.gov/DrugResistance

სწრაფვა მოქმედებისკენ
შედეგების მიღწევა
ბრძოლა ამრ-ის წინააღმდეგ



U.S. Department of
Health and Human Services
Centers for Disease
Control and Prevention